ოქმი N 14

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

10 ივლისი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. გივი ლატარია
4. აკაკი ხურცილავა
5. მზია ლემონჯარია
6. ნინო ბოკუჩავა
7. ია ჯიშკარიანი
8. ლელა ადანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

ანგარიშის განხილვას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე-საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ნუგზარ შუშანია-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დოდო გაბუნია-საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
4. ბექა მამაცაშვილი - საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე.
5. აკაკი მალანია - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე;
6. ვლადიმერ ქანთარია - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე.

მოწვევით ესწრებოდნენ:

1. ზვიად ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 3 ივლისის N 50-502318450 წერილის განხილვა
   - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 3 ივლისის N 50-502318450 წერილის განხილვა
   - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - განაცხადა, რომ შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და სამსახურის უფროსს სთხოვა წარედგინა აღნიშნული ანგარიში.

ზ. ბუკია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა - განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: საქმისწარმოების განყოფილება, საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. მან წარმოადგინა თითოეული განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. (ანგარიში ოქმს თან ერთვის)

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს და კომისიის წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სამსახურის წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი დასვა შეკითხვა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სანებართვო პირობების დარღვევის გამო განყოფილების მონაწილეობით მომზადებულ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც დამატებითი გარემოების გამო ბათილად იქნა ცნობილი. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ჯ. ბერაიამ განმარტა კონკრეტული ქეისი.

ბიუროს წევრმა ნ. შუშანიამ მიმართა სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ხელშეკრულების პირობების გადახედვა, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნეს თითქმის ყველა პროცესის წაგება უწევთ სასამართლოში და ვერ ხერხდება ხელშეკრულების გათვალისწინებული პირგასამტეხლოების ან საერთოდ ამოღება ან ნაწილობრივ ამოღება ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ჯ. ბერაიამ ისაუბრა ქვეყანაში არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებზე.

კომისიის თავმჯდომარემ მ. თათარიშვილმა განაცხადა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილების მე-9 მუხლის, მე-3 პუნქტის, „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს მიმდინარე წლის სამუშაო გეგმას. აღნიშნულის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე მიღებულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 იანვრის N2 განკარგულება. განკარგულებაში გაწერილია კვარტლების მიხედვით საკრებულოს მუშაობა. საკრებულოს კომისიების მიერ მერიის სამსახურების 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა უნდა მომხდარიყო პირველ კვარტალში, ხოლო მეორე კვარტალში უკვე მოსმენილი უნდა იყოს მერის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. საკრებულოს მხრიდან მერიას დამატებით გადაეგზავნა წერილი ანგარიშების წარმოდგენის თხოვნით მიმდინარე წლის 15 მარტს რის შემდეგადაც არ იქნა გამოგზავნილი ანგარიშები. ანგარიშები მერიის სამსახურების 2022 წლის გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 3 ივლისს, ხოლო მერის ანგარიში დღემდე არ არის წარმოდგენილი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის მერიის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, გამოიგზავნა ვადის დარღვევით 2022 წლის 24 მაისს და არ გამოგზავნილა მერის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარემ მ. თათარიშვილმა განმარტა, რომ კომისიის მიერ უნდა მოხდეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება. საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს, როგორც არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი ან დადებითი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0;

დამაკმაყოფილებელი - 5;

დადებითი - 3:

დაადგინდეს : ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გაიცეს შემდეგი რეკომენდაცია: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გადაიხედოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა და პირგასამტეხლოების დაკისრების მიმართულებით. ამასთან განხორციელდეს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოპერატიული და დროული შესრულება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი მედეა თათარიშვილი